სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ სტანდარტული და არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვების ძირითადი პირობები

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოშვების ძირითად პირობებს.

1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ძირითადი პირობების მიზნებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა.

1.1.	**ბანკი**	**სს „ხალიკ ბანკი საქართველო“** (ს/კ: 205236537; საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ., №74)
1.2.	**კლიენტი/შემძენი**	ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც ბანკისაგან იძენს სადეპოზიტო სერტიფიკატს.
1.3.	**სადეპოზიტო სერტიფიკატი**	საბანკო დეპოზიტი (ანაბარი), რომელიც წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებულ დღეს სერტიფიკატის მფლობელს გადაუხადოს სერტიფიკატის პირობით გათვალისწინებული თანხა.
1.4.	**სტანდარული სადეპოზიტო სერტიფიკატი**	სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომელზეც სრულად ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანების მოთხოვნები.
1.5.	**არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი**	სადეპოზიტო სერტიფიკატი, რომელზეც არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 3 მაისის №49/04 ბრძანების მოთხოვნები.
1.6.	**საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატი**	სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპი, რომლის შეძენის შემთხვევაში კლიენტი გადაიხდის, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, საანგარიშსწორებო თანხას, რომელიც სადეპოზიტო სერთიფიკატის პირველადი განთავსების დროს წარმოადგენს სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებას. ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდზე, აღნიშნულ თანხას დაერიცხება საპროცენტო სარგებელი, რომელსაც კლიენტი მიიღებს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით, ხოლო ნომინალურ ღირებულებას - სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ბოლოს.
1.7.	**სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა**	სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადა.
1.8.	**მომსახურე ანგარიში**	ბანკში გახსნილი კლიენტის მიმდინარე/საბარათე ანგარიში, რომელიც გამოიყენება სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული მომსახურებისთვის საჭირო საბანკო ოპერაციების საწარმოებლად. სადეპოზიტო სერტიფიკატის მომსახურე ანგარიშის გახსნა და წარმოება ბანკის მიერ ხორციელდება კანონმდებლობის სრული დაცვით, ბანკის შიდა დოკუმენტების, კლიენტთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებისა და ბანკის მიერ დადგენილი

		ტარიფების შესაბამისად. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების შემთხვევაში შემძენის მომსახურე ანგარიშად მიიჩნევა სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების შესახებ შესაბამის ხელშეკრულებაში/შეთანხმებაში მითითებული ანგარიში.
1.9.	**მომსახურება**	სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენასთან, გასხვისებასთან/დაფარვასთან დაკავშირებული მომსახურება.
1.10.	**ძირითადი ხელშეკრულება**	ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის და მომსახურების ძირითადი ხელშეკრულება.
1.11.	**ნასყიდობის ხელშეკრულება**	ბანკსა და კლიენტს შორის ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულება სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის შესახებ.
1.12.	**ძირითადი პირობები**	წინამდებარე პირობები და მათში განხორციელებული ყველა ცვლილება/დამატება. ძირითადი პირობები და მასში განხორციელებული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.halykbank.ge.
1.13.	**მხარე**	კლიენტი ან ბანკი ცალ-ცალკე.
1.14.	**მხარეები**	კლიენტი და ბანკი ერთად.

2. სერტიფიკატის გამოშვებისა და მომსახურების ძირითადი პირობები

2.1. ბანკის მიერ ხდება სტანდარტული საპროცენტო და არასტანდარტული საპროცენტო სადეპოზიტო სერტიფიკატების გამოშვება.

2.2. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის მიერ განსაზღვრული პირობებით შეიძინოს სადეპოზიტო სერტიფიკატი. სერტიფიკატის შეძენის შემთხვევაში ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება ძირითადი ხელშეკრულება, ხოლო მის ფარგლებში კონკრეტული ნასყიდობის ხელშეკრულება.

2.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან შეთანხმებულ ფასად გამოისყიდოს კლიენტის საკუთრებაში არსებული სადეპოზიტო სერტიფიკატი. სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვა არ წარმოადგენს ბანკის ვალდებულებას და დამოკიდებულია მისი ნების გამოვლენაზე.

2.4. სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია ბანკის დამატებითი თანხმობის გარეშე ნებისმიერ პირზე გაასხვისოს სერტიფიკატი, თუ წინამდებარე ძირითადი პირობებით/ ძირითადი ხელშეკრულებით/ნასყიდობის ხელშეკრულებით ან/და მხარეთა მიერ სხვა ფორმით სხვაგვარად არ არის შეთანხმებული.

2.5. სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.6. სერტიფიკატის შეძენამდე და სადეპოზიტო სერტიფიკატის საკუთრებაში ქონის სრული პერიოდის განმავლობაში კლიენტი ვალდებულია სს „ხალიკ ბანკი საქართველოში“ იქონიოს **მომსახურე ანგარიში**. სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება (მათ შორის, შეძენა, საპროცენტო სარგებლის გადახდა) უნდა განახორციელოს აღნიშნული ანგარიშის მეშვეობით. ასევე, სერტიფიკატის განაღდება მისი ვადის ამოწურვისას ან გამოსყიდვისას უნდა განხორციელდეს **მომსახურე ანგარიშის** მეშვეობით.

2.7. სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ვალუტა: ლარი

2.8. არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის ვალუტა: GEL/USD/EUR

2.9. სადეპოზიტო სერტიფიკატის მინიმალური ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ერთეულს შესაბამის ვალუტაში.

2.10. სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა შეიძლება იყოს 3 (სამი) თვიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ჩათვლით.

2.11. ერთ სადეპოზიტო სერტიფიკატს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი მფლობელი. დაუშვებელია ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატის რამდენიმე პირის მიერ ფლობა.

2.12. სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპი: საპროცენტო.

2.13. კლიენტის მიერ სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა დასტურდება ბანკის მიერ გაცემული ამონაწერით სერტიფიკატების რეესტრიდან. ამონაწერი არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს და ადასტურებს მხოლოდ მხარეებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

2.14. სადეპოზიტო სერტიფიკატზე საპროცენტო სარგებლის გაანგარიშება წარმოებს სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენის მომდევნო დღიდან, სერტიფიკატის ვადის დასრულების დღის ჩათვლით. სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენისა და ვადის ამოწურვის დღე ითვლება ერთ დღედ. საპროცენტო სარგებლის გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება კალენდარული დღეების ზუსტი რაოდენობა, ამასთან, წელიწადი იანგარიშება 365 დღით.

2.15. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადის დასრულების და/ან სარგებლის გადახდის თარიღი ემთხვევა ბანკის არასამუშაო დღეს, მაშინ სერტიფიკატის თანხის და/ან საპროცენტო სარგებლის გადახდა წარმოებს მომდევნო სამუშაო დღეს.

2.16. დაუშვებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის ნაწილობრივი განაღდება ან თანხის დამატება.

2.17. სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვამდე დაუშვებელია ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა ან/და ბანკისგან სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხის ვადამდე მოთხოვნა. ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ბანკის მიერ სერტიფიკატის გამოსყიდვით.

2.18. კლიენტი უფლებამოსილია ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში შეიძინოს ნებისმიერი რაოდენობის ახალი სერტიფიკატი.

3. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება

3.1. კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე ძირითადი პირობებისა, ძირითადი ხელშეკრულებისა ან/და ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობების დაცვით საკუთარი შეხედულებისამებრ გაასხვისოს შეძენილი სადეპოზიტო სერტიფიკატი.

3.2. სერტიფიკატის გასხვისებისას, ბანკის სასარგებლოდ ხდება სადეპოზიტო სერტიფიკატის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომისიოს გადახდა.

3.3. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი გამოყენებულია ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, შემძენი უფლებამოსილია გაასხვისოს სადეპოზიტო სერტიფიკატი მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემდეგ.

3.4. სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა/გასხვისება რეგისტრირდება სერტიფიკატის რეესტრში, რომლის ფუნქციონირების წესი და პირობები განისაზღვრება ბანკის მიერ.

3.5. კლიენტის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისება სერტიფიკატის რეესტრში რეგისტრირდება კლიენტის, სადეპოზიტო სერტიფიკატის ახალი შემძენის და ბანკის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ხელმოწერილი სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების შესახებ შეთანხმების/დავალების საფუძველზე, რომლის ფორმა და შინაარსი განისაზღვრება ბანკის მიერ.

3.6. დაუშვებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის ნაწილობრივ გასხვისება.

3.7. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების შემდეგ სერტიფიკატის ახალი შემძენი იკავებს სერტიფიკატის წინა შემძენის ადგილს და მასზე სრულად ვრცელდება წინამდებარე ძირითადი პირობები/ძირითადი ხელშეკრულების პირობები/ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები და სერტიფიკატის წინა მფლობელის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებით ბანკთან გაფორმებული ყველა სხვა იურიდიული დოკუმენტი.

4. სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვა

4.1. სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვა გულისხმობს გარემოებას, როცა კლიენტის სურვილის და ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტისთვის სადეპოზიტო სერტიფიკატის შეთანხმებული ღირებულების დაბრუნება ბანკის მიერ ხდება სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის ამოწურვამდე.

4.2. კლიენტის მოთხოვნა, გამოსყიდვის შესახებ არ წარმოშობს ბანკის ვალდებულებას და ბანკი გადაწყვეტილებას იღებს საკუთარი შეხედულებისამებრ.

4.3. სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვის შესახებ კლიენტის თხოვნას ბანკი განიხილავს და კლიენტს პასუხს აცნობებს მიმართვიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4.4. ბანკი არ არის ვალდებული დაასაბუთოს მისი უარი სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოსყიდვაზე.

4.5. თუ ბანკი დათანხმდება კლიენტის სერტიფიკატის გამოსყიდვას და ამავდროულად მხარეები შეთანხმდებიან გამოსყიდვის ფასზე, ბანკსა და კლიენტს შორის ფორმდება შესაბამისი შეთანხმება დეპოზიტის გამოსყიდვის შესახებ.

4.6. დაუშვებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის ნაწილობრივი გამოსყიდვა.

5. სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად

5.1. კლიენტი უფლებამოსილია გამოიყენოს სადეპოზიტო სერტიფიკატი როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ბანკის მიმართ.

5.2. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატი წარმოადგენს ბანკის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, ბანკს წარმოეშობა უფლება, რომ ვადა დამდგარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულების ფარგლებში.

5.3. უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ სადეპოზიტო სერტიფიკატზე სარგებლის დარიცხვა ხორციელდება წინამდებარე ძირითადი პირობებით, ძირითადი ხელშეკრულებითა ან/და ნასყიდობის ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

5.4. ბანკის მიერ მოთხოვნის სადეპოზიტო სერტიფიკატის საფუძველზე დაკმაყოფილების შემდეგ სადეპოზიტო სერტიფიკატის დარჩენილი ღირებულების ნაწილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსდება მომსახურე ანგარიშზე.

5.5. თუ სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულება უზრუნველყოფილ მოთხოვნაზე ნაკლები აღმოჩნდება, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკის დარჩენილი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა გააგრძელებს მოქმედებას.

5.6. ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე კლიენტი არ არის უფლებამოსილი გაასხვისოს ბანკის მიმართ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული სადეპოზიტო სერტიფიკატი კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

6. სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის რეესტრის წარმოება და რეესტრიდან ამონაწერის გაცემა:

6.1. ბანკი სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის რეესტრს აწარმოებს ელექტრონულად.

6.2. სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენისას/გასხვისებისას/გამოსყიდვისას/დაფარვისას შესაბამისი ჩანაწერი კეთდება სადეპოზიტო სერტიფიკატების რეესტრში.

6.3. სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების რეესტრში აუცილებელი წესით არის ასახული მინიმუმ შემდეგი ინფორმაცია:

6.3.1 სერტიფიკატის ნომერი

6.3.2 სერტიფიკატის მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ან/და პირადი ნომერი

6.3.3 სერტიფიკატის ტიპი

6.3.4 სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება

6.3.5 სერტიფიკატის გამოშვების და სერტიფიკატის დაფარვის თარიღები

6.3.6 სერტიფიკატის რეგისტრაციის თარიღი

7. ფორს-მაჟორული გარემოებები

7.1 მხარე არ არის პასუხისმგებელი მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან/და არაჯეროვან შესრულებაზე, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება განპირობებულია ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის მოქმედების შედეგად.

7.2. ფორს-მაჟორის მოქმედების განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი შესრულების ვადები შეჩერდება და გადავადდება ფორს-მაჟორის ხანგრძლივობის შესაბამისად. აღნიშნული ვადების დინება ან/და ვალდებულებების შესრულების პირობა განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებ(ებ)ის აღმოფხვრისთანავე

8. კონფიდენციალობის დაცვა

8.1. ბანკი მიიღებს ყველა მასზე დამოკიდებულ ზომას კლიენტის სადეპოზიტო სერტიფიკატისა და მისი ანგარიშების შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად. ეს ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ამგვარი გამჟღავნება მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობით.

8.2. ბანკი არ არის პასუხისმგებელი თუ კონფიდენციალობის მოთხოვნა დარღვეულ იქნა თავად კლიენტის მიზეზით.

9. დასკვნითი დებულებები

9.1. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე დებულება დაკარგავს ძალას, აღნიშნულმა გარემოებამ არ უნდა იმოქმედოს წინამდებარე ძირითადი პირობების სხვა დებულებების ნამდვილობასა და კანონიერებაზე.

9.2. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეიტანოს ცვლილება ძირითად პირობებში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

9.3. 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკი მონაწილეობს „დეპოზიტების დაზღვევის სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა ანაზღაურდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ 15 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებ-გვერდს: www.diagency.ge.

9.4. მხარეებს შორის წინამდებარე პირობების და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის/შეთანხმებ(ებ)ის ფარგლებში და მათი შესრულების მიზნით არსებული მთლიანი მიმოწერა უნდა იქნას შედგენილი ქართულ ენაზე, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სხვაგვარად. თუ მიმოწერა ხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულისაგან განსხვავებულ ენაზე, მას თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე.

9.5. მხარეების მიერ საკუთარი მისამართის, ელფოსტის ან ტელეფონის ნომრის, ან სხვა რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, მათ დროულად უნდა აცნობონ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ.

9.6. კლიენტი უფლებამოსილია წარადგინოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ბანკის ნებისმიერ ფილიალში ან ბანკის (სათაო ოფისის) კანცელარიაში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. წარდგენილი პრეტენზიის განხილვისა და წერილობითი პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) დღეს. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.halykbank.ge.

9.7. ყველა ის საკითხი, რაც არ რეგულირდება წინამდებარე პირობებით, ძირითადი ხელშეკრულებით ან/და ნასყიდობის ხელშეკრულებით ან/და მათთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით/შეთანხმებ(ებ)ით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.